

## განმარტებითი ბარათი

### ”ზოგადი განათლების შესახებ” საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

#### ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

##### ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

კანონპროექტის შემუშავება განპირობებულია მასწავლებლის პროფესიის რეგულირების აუხილებლობით. ”ზოგადი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 54-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაევალა ”პედაგოგიური განათლების შესახებ” კანონპროექტის შემუშავება, რომელსაც უნდა გაეთვალისწინებინა მასწავლებლის პროფესიის რეგულირებასთან დაკავშირებული დებულებები. ”უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 75-ე მუხლის თანახმად, რეგულირებად საგანმანათლებლო პროგრამებს განეკუთვნება პედაგოგიური საგანმანათლებლო პროგრამა, ხოლო ამავე კანონის 76-ე მუხლის თანახმად, მხოლოდ საქართველოს კანონით შეიძლება გაანსაზღვროს რეგულირებადი პროფესია, რომელიც ექვემდებარება სასერტიფიკაციო გამოცდას.

რამდენადაც ზოგად განათლებასთან დაკავშირებული ყველა არსებითი საკითხი ”ზოგადი განათლების შესახებ” საქართველოს კანონით არის მოწესრიგებული, მიზანშეწონილად იქნა ჩათვლილი ზოგადი განათლების მასწავლებლის პროფესიის რეგულირებაც ამავე კანონში ყოფილიყო მოქცეული. ასეთი სახით ზოგადი განათლების სფეროს რეგულირება უფრო სისტემატიზებული და გასაგები იქნება.

კანონპროექტი ეფუძნება საქართველოს მთავრობის მიერ 2006 წლის 9 თებერვალს N29 დადგენილებით დამტკიცებულ მასწავლებლის მომზადებისა და პროფესიული განვითარების კონცეფციას.

##### ა.ბ) კანონპროექტის მიზანი

კანონპროექტის მიზანია შექმნას სამართლებრივი საფუძველი მასწავლებლის პროფესიის რეგულირებისათვის, რასაც ზოგადი განათლების სფეროს რეფორმირების პროცესში განმსაზღვრელი მნიშვნელობა აქვს. მასწავლებლის საქმიანობა უშუალოდ უკავშირდება ბავშვის პიროვნულ განვითარებას. არაკვალიფიციური და არაეთიკური მასწავლებლებისაგან ბავშვის დაცვა უშუალოდ ბავშვის და საზოგადოებისათვის ძალიან მნიშვნელოვანია. სწორედ ამიტომ, კანონპროექტი მიზნად ისახავს იმ მექანიზმის შექმნას, რომელიც შესაძლებელს გახდის მასწავლებელთა პროფესიული დონის ამაღლებას და ეთიკური ქცევის წესების დანერგვასა და განხორციელებას.

##### ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების საკანონმდებლო ბაზა ყალიბდება კანონში “ზოგადი განათლების შესახებ” ცვლილებებისა და დამატებების შეტანით. კანონში შეტანილი ცვლილებები ეფუძნება “მასწავლებლის მომზადებისა და პროფესიული განვითარების კონცეფციას” რომელიც დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2006 წლის 9 თებერვლის N29 დადგენილებით და პრეზიდენტის 2006 წლის 26 ივნისის N383 ბრძანებულებას მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის დაარსების შესახებ. კანონში შეტანილი ცვლილებები აწესრიგებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მასწავლებელთა საქმიანობის პირობებსა და წესს.

კანონპროექტი ითვალისწინებს მასწავლებლის პროფესიის რეგულირებასთან დაკავშირებით ყველა აუცილებელ კომპონენტს: მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი, მასწავლებელთა სერტიფიცირება, მათ შორის მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდა და პროფესიული განვითარება, მასწავლებლობის მაძიებელი, მასწავლებელთა მოსამზადებელი და პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაცია, მასწავლებელთა სახეები, მასწავლებლის პროფესიის რეგულირებაზე პასუხისმგებელი ორგანოები და სხვა.

კანონპროექტის თანახმად, ზოგადი განათლების სფეროში არსებობს რამდენიმე სახის მასწავლებელი, კერძოდ: დაწყებითი საფეხურის მასწავლებელი, საბაზო/საშუალო საფეხურის საგნის/საგნობრივი ჯგუფის მასწავლებელი, საბაზო/საშუალო საფეხურის სახელოვნებო და სასპორტო საგნის/საგნობრივი ჯგუფის მასწავლებელი, სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვის მასწავლებელი და პროფესიის მასწავლებელი. თითოეული სახის მასწავლებლისათვის კანონპროექტში მოყვანილია ძირითადი მოთხოვნები: შესაბამისი განათლება, სკოლაში მაძიებლობის პერიოდის გავლა, სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარების აუცილობელობა და სხვა. ამასთან, თითოეული სახის მასწავლებლისათვის, კანონპროექტი ითვალისწინებს პროფესიული განვითარების აუცილებლობას, რაც სხვადასხვა სახით შეიძლება განხორციელდეს. პროფესიული განვითარებისათვის აუცილებელი კრედიტების დაგროვების გზებია ა) აკრედიტებული პროფესიული განვითარების პროგრამების გავლა; ბ) საგანმანათლებლო ან პედაგოგიური პროდუქტის შექმნა, (სახელმძღვანელოს, საგანმანათლებლო პროგრამის ავტორობა, საგანმანათლებლო პროექტის შემუშავება ან/და განხორციელება, მაძიებლებისა და სხვა პედაგოგებისათვის ცოდნის გაზიარება და სხვა.); გ) მასწავლებლის სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარებიდან 6 წლის შემდეგ შესაბამისი მასწავლებლის სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარება.

წარმოდგენილი პროექტის თანახმად, შესაბამისი უმაღლესი განათლების მქონე პირი (განათლების ბაკალავრი - დაწყებით საფეხურზე, შესაბამისი უმაღლესი განათლება და განათლების მაგისტრი - საბაზო/საფეხურზე) მასწავლებლის უფლების მოპოვებისათვის პირველ რიგში საჭიროებს მაძიებლობის პერიოდის გავლას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში. როგორც წესი, მაძიებლობის პერიოდის ხანგრძლივობაა 1 წელი, რის შემდეგაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის შედეგად სკოლიდან იღებს დოკუმენტს, რომელშიც სკოლა აღწერს შეესაბამება თუ არა მასწავლებლობის მაძიებელი მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტს და პროფესიული ეთიკის კოდექსს. სკოლის დადებითი დასკვნის შემთხვევაში, მასწავლებლობის მაძიებელი ექვემდებარება სერტიფიცირებას, რისთვისაც იგი საჭიროებს შესაბამისი სასერტიფიკაციო გამოცდის გავლას.

მასწავლებელთა პროფესიული სტანდარტების და პროფესიული ეთიკის კოდექსის შემუშავების, მასწავლებელთა მიერ პროფესიული ეთიკის კოდექსის დარღვევის შემთხვევაში, დისციპლინური დევნის განხორციელების და მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებული სხვა საკითხების მოწესრიგების მიზნით, კანონპროექტით გათვალისწინებულია საჯარო სამართლის იურიდიული პირის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის შექმნა.

კანონპროექტი ითვალისწინებს მასწავლებლის მოსამზადებელი აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების და მასწავლებლის მომზადებისა და განვითარების უფრო მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის მექანიზმს.

კანონპროექტით გათვალისწინებულია მასწავლებლის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები, მაგალითად, მასწავლებელს უფლება ენიჭება კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით 6 წელიწადში ერთხელ მოითხოვოს ხანგრძლივი შვებულება 1 წლამდე ვადით ანაზღაურების გარეშე სამუშაო ადგილის შენარჩუნებით.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი ასიგნებების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფოსათვის ახალი ფინანსური ვალდებულებების დაკისრებას.

ბ.ე) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი);  
არ ითვალისწინებს.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში

საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში  
კანონპროექტის შემუშავებაში სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაციების/დაწესებულებების ექსპერტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში;  
ექსპერტის დასკვნა არ არსებობს.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი:  
კანონპროექტის ავტორი არის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი.  
კანონპროექტის ინიციატორი არის საქართველოს მთავრობა.